ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29261633**
თარიღი:**12/06/2026**

,,თერჯოლილის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის №გ-29.2925337001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონი ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცვლილება შევიდეს ,,თერჯოლილის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის №გ-29.2925337001 განკარგულებაში და განკარგულების პირველ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ'' განკარგულება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა მერიასა და საკრებულოში განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში – 15 (თხუთმეტი) ერთეული;

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში – 8 (რვა) ერთეული. „

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM